

## კალისტრატე გაბუნია



კალისტრატე გაბუნია დაიბადა 1888 წელს ქუთაისის გუბერნიის სოფელ ამაღლებაში, ღარიბი აზნაურის ოჯახში. მან, გარეშე ფინანსური დახმარებითა და საკუთრი შრომით დაგროვილი ფულით შეძლო ქუთაისის რეალური სასწავლებლის დამთავრება. 1910 წელს კ. გაბუნია გაემგზავრა რუსეთის ერთ-ერთ საუნივერსიტეტო ცენტრში - ქ. ტომსკში, სადაც ამ დროს მუშაობდნენ სახელმძღვანელო გეოლოგები, აკადემიკოსები ვ. ობრუჩევი და მ. უსოვი, რომლებიც არა მარტო გამოჩენილი მეცნიერები, არამედ თავისი დროის მოწინავე ადამიანები და საზოგადო მოღვაწეებიც იყვნენ.

კალისტრატე გაბუნია ჩაირიცხა ტექნოლოგიური ინსტიტუტის სამთო ფაკულტეტზე და ამიერიდან თავისი ცხოვრება მრავალი წლით დაუკავშირა ციმბირსა და შორეულ აღმოსავლეთს.

1911 წელს, სტუდენტთა გაფიცვის მოწყობისათვის, ის ინსტიტუტიდან გარიცხეს. იმავე ვ. ობრუჩევის, მ. უსოვისა და ზოგიერთი სხვა მოწინავე პროფესორის შუამდგომლობით, ერთი წლის შემდეგ, იგი კვლავ აღადგინეს ინსტიტუტში.

1913 წლის ზაფხულის არდადეგები კ. გაბუნიამ გაატარა სამშობლოში (აქ ის მონაწილეობდა რაჭისა და სვანეთის საგზაო ტრასების გეოლოგიური პირობების შესწავლაში. 1914 წ. ზაფხულში ბარნაულის რაიონის ჰიდროგეოლოგიას იკვლევდა.

1915 წლის არდადეგები და სავსე პრაქტიკა მოანდომა ეკიბასტუზის (ყირგიზეთი) ქვანახშირის საბადოს კვლევას, ხოლო 1916 წლის ზაფხული - კვლავ სვანეთის გზის გაყვანასთან დაკავშირებულ სამუშაოებს.

1919 წ. კ. გაბუნია ერთ-ერთი ინიციატორი იყო ციმბირისა და შორეული აღმოსავლეთის ქართულ სათვისტომოთა წარმომადგენლობის ყრილობისა, რომელიც

მოეწყო ჩინეთის ქალაქ ხარბინში. აქ მან გაიცნო ხარბინელი მეწარმის, იულონ დუმბაძის, ქალიშვილი ნადეჟდა, რომელსაც სამუდამოდ დაუკავშირა ბედი.

1923 წ. კ. გაბუნია კონკურსის წესით აირჩიეს ტომსკის უნივერსიტეტის გეოლოგიისა და პალეონტოლოგიის კათედრის უფროს მასწავლებლად. შეთავსებით იგი აგრძელებდა მუშაობას ციმბირის გეოლოგიურ კომიტეტში. 1924 წ. იგი ბრუნდება საქართველოში და იწყებს მუშაობას სახალხო კომისართა საბჭოს სამთო განყოფილებაში ინჟინერ-გეოლოგად. აქედან იწყება მისი ინსტიტუტური მოღვაწეობა საქართველოს ტერიტორიაზე სასარგებლო წიაღისეულის საბადოების შესასწავლად. მისი შესწავლის ობიექტები ხდება დევდორაკის სპილენძის, ჩათახის (ფოლადაურის) რკინის, მდ. ხდეს ხეობის ბროლის, კვასის სპილენძ-პოლიმეტალური, ჭიათურის მანგანუმის, ტყიბულის ნახშირის, ცურუნგალის დარიშხანის და სხვა საბადოები. პარალელურად სიცოცხლის ბოლომდე აწარმოებდა, საინჟინრო-გეოლოგიურ და ჰიდროგეოლოგიურ სამუშაოებს საქართველოს სხვადასხვა რეგიონში.

1925 წლიდან კალისტრატე გაბუნია თბილისის უნივერსიტეტის პოლიტექნიკური ფაკულტეტის ლექტორია. ამავე წელს იგი საქართველოს გეოლოგიის ინსტიტუტის დაარსების ერთ-ერთი ინიციატორია, სადაც მუშაობს უფროს მეცნიერ თანამშრომლად და გამოყენებითი გეოლოგიის სექტორის გამგედ. 1926 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტექნიკურ ფაკულტეტზე მან დააარსა გამოყენებითი გეოლოგიის კათედრა. 1928 წლიდან მუშაობდა საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში. 1932 წლიდან იყო ამავე ინსტიტუტის სამთო ფაკულტეტის დეკანი. 1930 წლიდან ხელმძღვანელობდა ამიერკავკასიის სამთო-მეტალურგიული ინსტიტუტის გამოყენებითი გეოლოგიის კათედრას.

კალისტრატე ესტატეს ძე გაბუნია 1937 წელს, სრულიად ახალგაზრდა, 49 წლის ასაკში გარდაიცვალა. მიუხედავად ადრეული გარდაცვალებისა, მან მოასწრო აკადემიკოსებთან ა. ჯანელიძესთან და ა. თვალჭრელიძესთან ერთად, მტკიცე საფუძველი ჩაეყარა ქართული გეოლოგიური სკოლისათვის.

კალისტრატე გაბუნias დაბადებიდან 85-ე წლისთავზე ტომსკის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში ქართველი მეცნიერისადმი მიძღვნილი მემორიალი გაიხსნა. მის საზეიმო გახსნაზე ჩავიდა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის დელეგაცია.

1932 წელს კ. გაბუნias ინიციატივით ყალიბდება საქართველოს გეოლოგიური საზოგადოება, რომლის პირველ თავჯდომარედ არჩეულ იქნა კ. გაბუნია და რომელიც სიცოცხლის ბოლომდე წარმატებით ხელმძღვანელობდა ამ საზოგადოებას. საზოგადოებამ გააერთიანა საქართველოში მომუშავე ყველა გეოლოგი. აქ იკრიბებოდა ლექცია-მოხსენებები გეოლოგიის აქტუალურ საკითხებზე, გამოდიოდა სამეცნიერო შრომათა კრებულები, ეწყობოდა ექსკურსიები და ექსპედიციები. სამეცნიერო მივლინებებში იგზავნებოდნენ ამ საზოგადოების წევრები და სხვ.

განსაკუთრებით სამაგალითო იყო ბატონ კალისტრატეს დამოკიდებულება ახალგაზრდებთან. ის იყო საოცრად თავმდაბალი, თბილი და გულითადი პიროვნება. მას შესწევდა უნარი ახალგაზრდების შეცნობისა და მათთვის თანაგრძნობის გამოხატვისა. იგი იმდენად კარგად იცნობდა თავის მოწაფეებს, რომ მათი თხოვნის გარეშეც იცოდა, როდის და რით დახმარებოდა თითოეულ მათგანს - საქმით თუ მატერიალურად.

ბატონი კალისტრატეს სპეციალობა წარმატებით გააგრძელა შვილმა და შვილიშვილმა. განსაკუთრებით დიდია შვილის აკადემიკოს ლეო გაბუნias წვლილი, ის სამართლიანად ითვლება ხერხემლიანთა პალეონტოლოგიის ფუძემდებლად კავკასიაში.

გამოყენებითი გეოლოგიის დეპარტამენტის  
უფროსი, გეოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,  
პროფესორტი ნოდარ ფოფორაძე